

დანართი №2
2020 წლის 27 აპრილს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ე.ტ.№50-20 ხელშეკრულებაზე (NAT200004751)

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, შპს „ცეკური“, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, ბექა ხაბულიანის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2020 წლის 17 ნოემბრის №11211-2 მოხსენებითი ბარათის და 2020 წლის 27 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№50-20 ხელშეკრულების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის 2020 წლის 27 აპრილს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№50-20 ხელშეკრულებაში (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-15) ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი) - წყალტუბო - ცაგერი - ლენტეხი - ლასდილის საავტომობილო გზის კმ113 - კმ125 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება) და სამუშაოების დასრულების მიზნით მიმწოდებელს მიეცეს დამატებითი ვადა 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2. ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2021 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, 2020 წლის 30 ნოემბრამდე წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც უნდა მოქმედებდეს 2021 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, ამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ამ დანართით განსაზღვრული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

5. შევიდეს ცვლილება ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებაზე დართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

6. წინამდებარე დანართზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი სამუშაოების შესრულების კორექტირებული გეგმა-გრაფიკი (იხ. დანართი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები აწარმოოს აღნიშნული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

7. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

8. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

9. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით და მისი ელექტრონული ვერსია წარმოადგენს დოკუმენტის დედანს.

10. დანართი შედგენილია ქ. თბილისში, 2020 წლის 17 ნოემბერს და ხელმოწერილია ელექტრონულად მხარეთა მიერ.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე

მიმწოდებელი
შპს „ცეკური“
აღმასრულებელი დირექტორი
ბექა ხაბულიანი